პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 51 (3535) 14 1968 წ. მარტი. ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ორი რეკორდი...

თბილისის ფიზკულტურული კოლექტივების მძლეოსანთა პირად-გუნდურ პირველობაზე, რომელიც „დინამოს" სტადიონზე ტარდება, საქართველოს ორი რეკორდი გაუმჯობესდა: პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის პირველკურსელმა ნ. ზვიადაურმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. შმაკოვი) შუბი 67,81 მეტრზე ტყორცნა და უფროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა, ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა ნ. დავიდენკომ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კ. მალიშკოვი) კი 3000 მეტრი 8 წუთსა და 32,4 წამში გაირბინა. ამ უკანასკნელის შედეგი 2,6 წამით სჯობს ვ. კომაროვის („კოლმეურნე") მიერ 6 წლის წინათ დამყარებულ რეკორდს.



უკვე რამდენიმე წელია რესპუბლიკაში ტოლი არ ჰყავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ნელი სალაძეს. მისი ოსტატობით არაერთხელ მოხიბლულა მხატვრული ტანვარჯიშის მრავალი მოყვარული. იგი წარმატებით გამოდის როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო სარბიელზე. თავის მრავალრიცხოვან სპორტულ ნადავლს მან ახლახანს რესპუბლიკის ქალთა I სპარტაკიადის ჩემპიონის წოდებაც მიუმატა.

ს უ რ ა თ ზ ე: ნელი სალაძე.
ფოტო ბ. თარხნიშვილისა.

(ქალთა სპარტაკიადის მასალები იხილეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ლიდერი უმკაცრესი გამოცდის წინაშე

ცხრილი სატურნირო ბრძოლის სარკეა, რომელიც რელიეფურად ასახავს ამა თუ იმ გუნდის მიღწევებს, წარუმატებლობას და, ასე გასინჯეთ, მომავალსაც კი. მაგრამ ცხრილს ერთი არსებითი ნაკლიც აქვს: იგი აჯამებს მხოლოდ მშრალ ციფრებს და ვერაფერს გვამცნობს ბრძოლის ემოციურ მხარეზე.

ემოციებით კი სავსეა სატურნირო ცხრილის ყოველი სტრიქონი. მაგალითისთვის ავიღოთ ლიდერთა სამეული და ის გუნება-განწყობა, რითაც ლიდერები ყოველ ახალ კალენდარულ ტურს ხვდებიან. ლენინგრადის „სპარტაკი" წესით ჩინებულ გუნებაზე უნდა იყოს, რადგან ბოლო კვირის მატჩებმა კიდევ უფრო განამტკიცა მისი სატურნირო მდგომარეობა. დაკარგული ქულების მიხედვით სპარტაკელები უახლოეს მეტოქეს (თბილისის „დინამოს") 2 ქულით უსწრებენ და მაინც... ლიდერი ცუდ გუნებაზეა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ნევის ქალაქის კალათბურთელებს ყველაზე ძნელი და პასუხსაგები პერიოდი ეწყებათ. 16 მარტს ისინი ცსკა-ს ესტუმრებიან მოსკოვში, თვის ბოლოს — ამიერკავკასიაში ჩამოვლენ, ტურნეს კი უკრაინის დედაქალაქში დაამთავრებენ. ცხადია, პერსპექტივა ლიდერისთვის არც ისე სახარბიელოა, რადგან ამ ერთ თვეში „სპარტაკი" ესტუმრება ყველა გუნდს, რომლებიც თავად აცხადებენ პრეტენზიას I ადგილზე.

თბილისის დინამოელებმა კიევში მეტად საჭირო ქულა მოიპოვეს. არმიელებთან 4 მატჩის შემდეგ ჩვენს კალათბურთელებს აბსოლუტურად უკეთესი მაჩვენებლები აქვთ, რადგან „დინამომ" მეტოქეს 3 მატჩი მოუგო. სხვათა შორის, ყოველ კონკურენტთან მოპოვებული 3 ქულა საბოლოო ჯამში ჩემპიონობის რეალური გარანტიაა, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი რამ ძნელად თუ მოხდება. ისე კი, არმიელებთან მარცხის მიუხედავად, თბილისელებმა კიევის ტურნე წარმატებით დაიწყეს.

## 3 მატჩი

**კიევი, 13 მარტი.** განმეორებითი მატჩი ადგილობრივ არმიელებსა და თბილისის „დინამოს" შორის მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა — 69:58. ასკ-მ აილო რევანში წინა დღის წაგებისთვის (აღსანიშნავია, რომ არმიელებმა გაიმარჯვეს იმდენივე ქულით, რამდენითაც დამარცხდნენ).

**ბაქო, 13 მარტი.** რევანში აზერბაიჯანის დედაქალაქშიც შედგა. გუშინწინდელი მარცხით გამძვინვარებულმა „კალევმა" მეორე შეხვედრა ადგილობრივ „ბურევესტნიკს" მოუგო დიდი ანგარიშით — 91:69.

**რიგა, 13 მარტი.** გუშინ ადგილობრივმა არმიელებმა მიიღეს სვერდლოვსკის „ურალმაში". ორივე ტაიმში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 81:63.

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 28 | 21 | 7 | 1998—1868 | 21 |
| ასკ (კიევი) | 30 | 20 | 10 | 2120—1965 | 20 |
| „დინამო" (თბილისი) | 28 | 19 | 9 | 2064—1924 | 19 |
| ცსკა | 30 | 18 | 12 | 1936—1863 | 18 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 28 | 16 | 12 | 1848—1819 | 16 |
| „კალევი" (ტარტუ) | 30 | 15 | 15 | 1994—1939 | 15 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 28 | 14 | 14 | 2019—1986 | 14 |
| ვეფ (რიგა) | 28 | 14 | 14 | 1982—1978 | 14 |
| ასკ (რიგა) | 29 | 13 | 16 | 2080—2077 | 13 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 26 | 12 | 14 | 1675—1647 | 12 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 29 | 6 | 23 | 1958—2226 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 32 | 5 | 27 | 2321—2719 | 5 |

## ჩვენი მკითხველები

რედაქციაში რამდენიმე წერილი შემოვიდა. ავტორები გვთხოვენ გავაგებინოთ, თუ როგორ, რა პრინციპით ხდება თანაბარი მაჩვენებლების მქონე გუნდების განლაგება სატურნირო ცხრილში. წინათ ასე იყო: თუ გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, უპირატესობა გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობას ენიჭებოდა. განმასხვავებელ პრინციპად ახლაც მიღებულია სხვაობა, ოღონდ ბურთების საერთო ჯამიდან კი არა, არამედ უშუალოდ მეტოქეთა ურთიერთმატჩებიდან.

დღევანდელ ცხრილში „ჟალგირისსა" და ვეფ-ს ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ, მაგრამ უპირატესობა მაინც „ჟალგირისს" ენიჭება, რომელმაც ერთი მატჩი ვეფ-ს 11 ქულის უპირატესობით მოუგო (75:64), მეორე კი მხოლოდ 6 ქულით წააგო (75:81). +5 ქულა გვაძლევს უფლებას, რომ წინ „ჟალგირისი" დავაყენოთ. იგივე პრინციპით ვხელმძღვანელობთ, თუ ქულათა რაოდენობა თანაბარი აქვს არა ორ გუნდს, არამედ სამს, ოთხს და ასე შემდეგ.

## 22 მარტს

კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში (რუსთაველის პროსპექტი № 12/1) ჩატარდება რესპუბლიკის ფიზკულტურულ მუშაკთა აქტივის კრება. კრებაზე მოწვეული არიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

I. 1967 წლის შედეგები და რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები. (მომხსენებელი — საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარე ბ. ხიხარულიძე).

დასაწყისი 11 ს.

# აბრამიშვილის პირველი მედალი

სსრ კავშირის სამთომოთხილამურეთა ტექნიკური მომზადების დონე საერთაშორისოს საგრძნობლად რომ ჩამორჩება, ეს გრენობლის ოლიმპიადამაც დაადასტურა. მდგომარეობის გამოსასწორებლად საკავშირო ფედერაციამ ახალი ღონისძიება გაატარა — ტერსკოლში მიმდინარე ჩემპიონატში გუნდებს ჩათვლას აძლევენ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც ცალკეულ სახეობებში 40 (ქალებში) და 50 (ვაჟებში) საუკეთესოს შორის დაიმკვიდრებენ ადგილს. ჩათვლის ამგვარმა სისტემამ სპორტსმენთა პასუხისმგებლობა გაზარდა და შედეგებიც ერთგვარად ამაღლდა.

საკავშირო ჩემპიონატის პირველი პირადი შედეგები უკვე გაგაცანით. ახლა დავუმატებთ, რომ ქალთა სწრაფდაშვებაში გუნდური გამარჯვება მოსკოველებმა მოიპოვეს (ამ კოლექტივის ექვსივე წევრი 40 საუკეთესოს შორის მოხვდა), II იყო ყაზახეთის კოლექტივი, III — კემეროვოს გუნდი.

შემდეგ სარბიელი ვაჟებს დაეთმო. ისინი სპეციალურ სლალომში ასპარეზობდნენ. ნახევარფინალში გუნდური შედეგები და პირადი ტურნირის ფინალისტთა ვინაობა უნდა გარკვეულიყო. აქაც ყველას მოსკოველებმა აჯობეს. დედაქალაქის შვიდი მოთხილამურე პირადი ტურნირის ფინალში გავიდა. II ადგილი ყაზახეთის სამთომოთხილამურეებს ხვდათ, III და IV ადგილები საქართველოს და ლენინგრადის გუნდებმა გაიყვეს.

საბოლოოდ „ოქროსთვის" ფინალურ ბრძოლაში 42 ვაჟი ჩაება. ყველას აჯობა 24 წლის კიროველმა ვასილი მელნიკოვმა, რომელმაც ორი ცდის ჯამში 1 წუთი და 47,1 წამი დახარჯა და ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. „ვერცხლი" წილად ხვდა ვ. ბორისოვს (ლენინგრადის ოლქი) — 1.50,8. ამ დღეს მსაჯთა კოლეგიამ ორი „ბრინჯაო" გასცა: ბაკურიანელმა გ. აბრამიშვილმა და გორკელმა ა. ბელოკურინცინმა ერთნაირი შედეგი (1.51,4) აჩვენეს და III ადგილი გაიყვეს. აბრამიშვილისთვის ეს პირველი მედალია საკავშირო ჩემპიონატში.



ს უ რ ა თ ზ ე: გ. აბრამიშვილი.

## ბელოუსოვს მხოლოდ „ვერცხლი"

გორკში გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური ჩემპიონატი დიდი ტრამპლინიდან ხტომაში. პირველი დღე გუნდურ ტურნირს დაეთმო, მეორე დღეს კი პირადი პირველობა ჩატარდა. გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონს ვ. ბელოუსოვს (ლენინგრადის ოლქი) ახლაც აჯობეს. ამჯერად მას გაუსწრო მოსკოველმა ა. ივანიკოვმა, რომელიც 98,5 და 103 მეტრზე გადახტა. ამით მან საბოლოოდ 233,6 ქულა და ოქროს მედალი მოიგო. ბელოუსოვი გამარჯვებულს 12,5 ქულით ჩამორჩა (94 და 95 მ). „ბრინჯაო" წილად ხვდა ი. ზუბარევს (ლენინგრადი) — 219,6 (96,5 და 95 მ). კ. წაქაძე ამჯერად, როგორც ჩანს, ფორმაში არ იყო და პირველადვე 88,5 მეტრზე გადახტა. მან ვერც შემდეგ ცდაზე გამოასწორა მდგომარეობა და ამიტომ ვერც ექვსეულში მოხვდა.

## გუშინ...

ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში გაიმართა სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის VIII ტურის მატჩები. შეხვედრათა შედეგები ასეთია: კასპიის ფლოტილია (ბაქო) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 1:1, „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 6:2, მოსკოვის უნივერსიტეტი — „ტორპედო" (მოსკოვი) 4:3, „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 3:3, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — „დინამო" (ლვოვი) 3:1.

ბოლო ტურის წინ გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს მოსკოვის „დინამო" — 13 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი, „ბალტიკა" — 12-12, მოსკოვის უნივერსიტეტი, კიევის „დინამო" — 9-9, მოსკოვის „ტორპედო", თბილისის „დინამო" — 7-7, კასპიის ფლოტილია — 6, ლვოვის „დინამო" — 4, ვოლგოგრადის „სპარტაკი" — 1 ქულა.

## სპორტული საათი...

◆ **ბელგრადი,** 13 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის IV ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — მ. ლილიაკი და ნ. გაფრინდაშვილი. უფიმცევის დაცვაში მსოფლიო ჩემპიონმა კარგად გამოიყენა იუგოსლაველის არაზუსტი თამაში და გაიმარჯვა. ა. კუშნირმა მოუგო კ. იოვანოვიჩს, ი. იოუიჩ-ქივკოვიჩმა — ე. ბილეკს, ხოლო მ. ლაზარევიჩმა — ფ. ზეემსკერკს. ყაიმით დამთავრდა ა. ნიკოლაუ — ტ. შტადლერის შეხვედრა. ვ. ასენოვამ უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ქ. გოლუისთან. მ. კონარკოვსკას ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი პარტია რ. იოვანოვიჩთან. 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. ლაზარევიჩი — 4 ქულა და ნ. გაფრინდაშვილი — 3,5 ქულა.

◆ **ოსლო,** 13 მარტი. პატარა ქალაქ ნუტოდენის საციგურაოზე გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფრედ ანტონ მაიერი. იგი ყველაზე სწრაფი იყო 3000 მეტრზე რბენაში. გამარჯვებულის ნაჩვენები დრო — 4.22,4 ნორვეგიის ახალი რეკორდია. სხვა დისტანციებზეც იქნა ნაჩვენები მაღალი შედეგები. მაგალითად, რ. გრენვოლდმა 500 მეტრის გარბენას მოანდომა 41,0, 1500 მეტრზე უძლიერესი იყო ტვეტერი — 2.07,4.

ნ. გაფრინდაშვილი ლიდერებშია — 1-ლი გვ.
ბაკურიანელი მოთხილამურის ბრინჯაოს მედალი — 1-ლი გვ.
15 წლის გოგონას რეკორდი — მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ჰექტარი ჯანმრთელობის ქალაქი

ზუგდიდის საქალაქო სპორტკავშირი (თავმჯდომარე ჯ. გაფრინდაშვილი) შარშან ივლისში შეიქმნა. ახლა იგი 89 ფიზკულტურულ კოლექტივს აერთიანებს. მათგან 13 ენგურჰესის მშენებლობისაა.

მოწინავეთა შორის პირველ ყოვლისა, ვარდნილჰესის სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივი დაგვისახელეს. მათი სამმართველო და მუშათა დასახლების მთავარი უბანი რეჩხშია განლაგებული. დასახლების ცენტრში კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის შესანიშნავი მოედნები მოუწყვიათ, შემოუღობავთ და სამაგალითოდ უვლიან. აქვთ მშვენიერი საცურაო აუზი. რეჩხში სპორტული ბაზების ფართობმა ჰექტარს გადააჭარბა.

— ეს საშუალო სკოლა შარშან ავაგეთ; საიუბილეო წლის საჩუქარიაო, — გვითხრეს მასპინძლებმა. ფართო დერეფნიდან ჯერ მაღალ, ნათელ სპორტულ დარბაზში შევედით. ეს დარბაზი დღისით მოსწავლეთა განკარგულებაშია, საღამოს კი მუშებს ეთმობა.

მუშათა საცხოვრებელ კორპუსებს შორის ხშირად იმართება მოჭადრაკეთა, მაგიდის ჩოგბურთელთა საინტერესო შეჯიბრებები, რეგულარულად ტარდება შიდასაკოლექტივო ტურნირები. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი შემდეგ ნაკრებ გუნდებში იცავენ კოლექტივის ღირსებას. ვარდნილჰესელები ენგურჰესის I და II სპარტაკიადის ჩემპიონები არიან, შარშან კი II ადგილი დაიკავეს „განთიადის“ საქალაქო და რაიონულ პირველობებში მათ 6 თასი აქვთ მოპოვებული.

სექციებს ხელმძღვანელობენ მოწინავე სპორტსმენები, გვირაბგამყვანები ვ. ზარნაძე, გ. გრომოვი, ჯ. კვეკვესქირი, არხგამყვანი ს. ხიზანიშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. ბაბლაია, ტექნიკური განყოფილების ინჟინერი ლ. გითოლანდია და სხვები.

სამმართველო 800-მდე მუშა-მოსამსახურეს ითვლის. ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ხელმძღვანელობა ორ ინსტრუქტორ-მეთოდისტს ევალება და მათ მუშაობის სანიმუშო პირობებს უქმნიან. დაბაში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვებთან მუშაობასაც, მათთვის ცალკე ჯგუფებია შექმნილი.

გაგაცნობთ სამმართველოს ჩემპიონებსაც: ამ საპატიო სახელს კარგა ხანია არავის უთმობს მეხამე უბანი, რომელსაც ნ. ჩხარტიშვილი თავკაცობს.

რეჩხელთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით სამმართველოს უფროსს თ. ჩუბინიძესა და მთავარ ინჟინერს ო. ჰინჭარაულს.

თ. ბაჩეჩილაძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).

დაბა რეჩხი.

# ქალთა რესპუბლიკური...

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, ფოთის, სამტრედიისა და ხაშურის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა საქართველოს ქალთა I სპარტაკიადა, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. სპარტაკიადის პროგრამაში 13 სახეობა შედიოდა. დღეს გაგაცნობთ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში გამართული შეჯიბრებების შედეგებს.

## ტანვარჯიში

სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშეებს ქუთაისი მასპინძლობდა. აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თბილისის, ქუთაისის, გორის, აჭარის, აფხაზეთის, რუსთავის, ცხინვალის, სამტრედიის, ხაშურის, ზუგდიდის, ლანჩხუთისა და ტყიბულის კოლექტივები. გუნდური ადგილებიც სწორედ ამ თანმიმდევრობით განაწილდა. უნდა ვუსაყვედუროთ ფოთისა და წყალტუბოს სპორტის მესვეურებს, რომლებმაც განაცხადი წარმოადგინეს, მაგრამ შემდეგ გუნდები აღარ გამოგზავნეს.

პირად ჩათვლაში შეჯიბრება სპორტის ოსტატის, ოსტატობის კანდიდატისა და პირველი თანრიგის პროგრამით მოეწყო. ოსტატობის პროგრამით 7 ტანმოვარჯიშე გამოვიდა. მათგან ხუთმა დააკმაყოფილა სათანრიგო მოთხოვნები, მაგრამ შეჯიბრების მონაწილე 22 ოსტატობის კანდიდატიდან და 27 პირველთანრიგოსნიდან ეს მოთხოვნები მხოლოდ ოთხმა და ორმა შეასრულა.

საპრიზო სამეულები ცალკეულ თანრიგებში: **ოსტატები** — ც. ქადუა — 74,25 ქულა, ნ. ბაბუნაშვილი — 73,75, ლ. გათენდაშვილი (სამივე — თბილისი) — 73,05; **ოსტატობის კანდიდატები** — რ. სიხარულიძე (აჭარა) — 74,9, გ. კაზიევა — 73,4, ლ. ხასიევა (ორივე — ქუთაისი) — 71,8; **პირველთანრიგოსნები** — ქ. გოგიჩაიშვილი (აჭარა) — 71,6, ი. იოსავა (აფხაზეთი) — 68,7, ვ. ჟღენტი (აჭარა) — 67,6.

## მხატვრული ტანვარჯიში

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, აჭარის, ქუთაისის, აფხაზეთისა და რუსთავის გუნდები (ადგილებიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა). სპორტსმენთა მომზადების დონე ვერც ამ სახეობაშია მაღალი. სპორტის ოსტატის პროგრამით 13 ტანმოვარჯიშე გამოდიოდა. სათანრიგო ნორმატივი მათგან მხოლოდ გამარჯვებულმა ნ. სალაძემ (თბილისი) შეასრულა — 57,4 ქულა, ხოლო 12 პირველთანრიგოსანში I-II ადგილებზე გასულებმა ს. ზრიკმა (45,65) და ნ. ქათამაძემ (ორივე — ქუთაისი) — 45,15 აჩვენეს. ოსტატებში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისელები მ. ჩიხლაძე (52,95) და ე. როყვა (52,85). პირველთანრიგოსნებში III ადგილზეა ქუთაისელი თ. გვანცელაძე — 42,9.

## ხელბურთი

შეჯიბრება ფოთის სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა. 13 გუნდი ოლიმპიური სისტემით ასპარეზობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ფოთის კოლექტივები. თბილისელებმა მანამდე დაამარცხეს ახალციხისა (34:7) და აჭარის (16:9) ხელბურთელები, ხოლო მასპინძლებმა წულუკიძისა (26:10) და ქუთაისის (32:15) გუნდები. ფინალურ მატჩში თბილისელებმა გაიმარჯვეს ფოთელებთან — 16:12. III ადგილისთვის დავაში აჭარის წარმომადგენლებმა დიდი ანგარიშით სძლიეს ქუთაისელებს — 28:9.

## მაგიდის ჩოგბურთი

მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. სარბიელზე გამოვიდა 16 გუნდი. თბილისისა და აჭარის წარმომადგენლებმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს მეტოქეები: თბილისელებმა — ცაგერის, ზუგდიდისა და სამხრეთ ოსეთის მაგიდის ჩოგბურთელები, მათმა მოწინააღმდეგეებმა — სამტრედიის, ფოთისა და ქუთაისის კოლექტივები. აჭარის გუნდში გამოდიოდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ს. პარფინიდი. სწორედ მან მოუტანა ერთადერთი ქულა თავის კოლექტივს, როცა ლ. კარპენკო დაამარცხა — 2:0 (21:12, 21:9). დანარჩენ სამ შეხვედრაში უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო. საბოლოოდ ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს და სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრეს თბილისელებმა. III ადგილისთვის ბრძოლაში ქუთაისის გუნდმა სძლია სამხრეთ ოსეთის კოლექტივს — 3:0. აშკარად სუსტი სპორტსმენები ჩამოიყვანეს ზუგდიდმა, რუსთავმა, სამტრედიამ, დუშეთმა და სხვ.

## ფრენბურთი

გორსა და ხაშურში 24 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ფინალური შეჯიბრება გორში ჩატარდა. როგორც ჩანს, ნათქვამი: შინ კედლებიც გეხმარებიანო, ამჯამადაც გამართლდა, რადგან სპარტაკიადის ჩემპიონობა გორელებმა მოიპოვეს. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთისა და თბილისის გუნდები.

## კალათბურთი

სამტრედიაში შეჯიბრების მონაწილე 22 გუნდი ჯგუფებად დაიყო. ფინალში ყველას აჯობეს თბილისელებმა, რომლებიც სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთისა და გორის წარმომადგენლები.

* * *

**საბოლოოდ I რესპუბლიკური სპარტაკიადის გუნდური პირველობა მოიგეს თბილისელმა სპორტსმენებმა — 16 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: აჭარა — 38, აფხაზეთი — 49, ქუთაისი — 49,5, გორი — 73,5, რუსთავი — 76. აღსანიშნავია, რომ სპარტაკიადის ცამეტივე სახეობაში ასპარეზობდნენ პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდების სპორტსმენები.**

**გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.**

# საქართველოს 10 საუკეთესო

**1967 წლის შედეგების მიხედვით**
**(50-მეტრიანი აუზისთვის)**

## ცურვა

### ქალები

**თავისუფალი სტილით ცურვა 100 მ.** — ლ. ოსიპოვა — 1.08,1 (1952), თბილისი, „დინამო“; ი. ზოტოვა — 1.08,7 (54), ქუთაისი, „განთიადი“; ი. ოვჩინიკოვა — 1.11,7 (52), თბილისი, „განთიადი“; ი. ბახი — 1.12,8 (52), თბილისი, „დინამო“; ვ. შამყულაშვილი — 1.13,0 (51), თბილისი, „დინამო“; ვ. ანიკინა — 1.14,5 (50), თბილისი, „დინამო“; მ. ყულიჯანოვა — 1.14,8 (54), თბილისი, „დინამო“; ნ. კაბანოვა — 1.15,0, (53), ბათუმი, „განთიადი“; ვ. მახროვა — 1.15,3 (47), თბილისი, „განთიადი“; ნ. ჟიგალიოვა — 1.15,6 (48), თბილისი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 1.12,3, 1967 წ. — 1.12,0.

**თავისუფალი სტილით ცურვა 200 მ** — ი. ზოტოვა — 2.37,4; ლ. ბერძენიშვილი — 2.41,1 (45), თბილისი, „სპარტაკი“; ლ. ოსიპოვა — 2.42,9; ი. ოვჩინიკოვა — 2.44,3; ვ. შამყულაშვილი — 2.47,2; ო. გუპალოვსკაია — 2.48,7 (51), ბათუმი, „განთიადი“; ი. ბახი — 2.51,2; ო. ვილკოვა — 2.54,1 (54), თბილისი, გან. განყ; ლ. ბურკინა — 2.55,2 (52), თბილისი, „დინამო“; ვ. კორნიენკო — 2.55,5 (54), თბილისი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 2.47,2, 1967 წ. — 2.47,8.

**თავისუფალი სტილით ცურვა 400 მ** — ნ. ჭუმბაძე — 5.40,8 (48), თბილისი, „დინამო“; ლ. ოსიპოვა — 5.44,3; ვ. ბახი — 5.54,3 (50), თბილისი, „დინამო“; ი. ზოტოვა — 5.54,3; თ. ლეკვეიშვილი — 5.54,4 (55), თბილისი, „დინამო“, ს. ოვჩაროვა — 5.55,7 (50), თბილისი, „დინამო“; ლ. ბურკინა — 6.01,4; ო. გუპალოვსკაია — 6.05,1; ი. ოვჩინიკოვა — 6.12,0; ო. ვილკოვა — 6.12,9.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 6.03,1, 1967 წ. — 5.57,5.

**თავისუფალი სტილით ცურვა 800 მ** — ლ. ბერძენიშვილი — 11.40,1; ნ. ჭუმბაძე — 11.52,2; ი. ზოტოვა — 12.15,8; ნ. ჟიგალიოვა — 12.19,8; ვ. ბახი — 12.24,4; თ. ლეკვეიშვილი — 12.24,8 (55), თბილისი, „დინამო“; ს. ოვჩაროვა — 12.25,9; ლ. ბურკინა — 12.53,9; ო. გუპალოვსკაია — 13.01,9; ი. ოვჩინიკოვა — 13.14,9.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 12.51,8, 1967 წ. — 12.26,6.

**ბრასით ცურვა 100 მ** — ლ. ანდრეევა — 1.23,0 (52), სოხუმი, „განთიადი“; ლ. მარღანია — 1.23,9 (53), სოხუმი, „დინამო“; მ. ზამბახიძე — 1.24,8 (50), თბილისი, „დინამო“; ვ. ანიკინა — 1.25,2; ე. სედიაკოვა — 1.26,6 (53), ბათუმი, „სპარტაკი“; ი. ეფიმოვა — 1.27,7 (52), თბილისი, გან. განყ.; ნ. გლეჩიკოვა — 1.28,4 (52), სოხუმი, „დინამო“; თ. მამკინა — 1.29,2 (47), თბილისი, „განთიადი“; ლ. სელივანოვა — 1.29,7 (54), თბილისი, „განთიადი“; ზ. ლიუბჩენკო — 1.29,8 (51), თბილისი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 1.28,0, 1967 წ. — 1.27,4.

**ბრასით ცურვა 200 მ** — ლ. მარღანია — 2.59,2; ლ. ანდრეევა — 3.00,3; ი. ეფიმოვა — 3.08,2; მ. ზამბახიძე — 3.08,6, თ. მამკინა — 3.09,8; ვ. ანიკინა — 3.09,9; ნ. გლეჩიკოვა — 3.11,5; ე. სედიაკოვა — 3.11,9; ლ. სელივანოვა — 3.14,0; მ. ღიბრაძე — 3.15,7 (49), თბილისი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 3.12,1, 1967 წ. — 3.09,5.

**გულაღმა ცურვა 100 მ** — თ. ლეკვეიშვილი — 2.43,4; ნ. ჭუმბაძე — 1.17,2; ვ. ბახი — 1.20,1; ნ. ჟიგალიოვა — 1.20,8; მ. ყულიჯანოვა — 1.21,6; ტ. შელესტი — 1.23,6 (54), თბილისი, გან. განყ.; თ. ისტრებინსკაია — 1.23,8 (50), თბილისი, „დინამო“; ი. ჩუგუევსკაია — 1.23,8 (44), თბილისი, „სპარტაკი“; მ. ღიბრაძე — 1.25,0; ი. სუბიჩი — 1.25,9 (51), გაგრა, გან. განყ.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 1.23,8, 1967 წ. — 1.21,5.

**გულაღმა ცურვა 200 მ** — თ. ლეკვეიშვილი — 2.43,4; ნ. ჭუმბაძე — 2.51,5; ს. შაგოვა — 2.52,1 (38), ბათუმი, „დინამო“; მ. ყულიჯანოვა — 2.52,1; ტ. შელესტი — 2.52,6; მ. ღიბრაძე — 3.03,3; თ. ისტრებინსკაია — 3.06,0; ი. ჩუგუევსკაია — 3.07,5; მ. სადარაძე — 3.08,5 (52), თბილისი, გან. განყ.; ო. ლოხოვა — 3.10,9 (52), სოხუმი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 3.07,0, 1967 წ. — 2.59,6.

**ბატერფლაით ცურვა 100 მ** — ნ. ჟიგალიოვა — 1.16,3; ვ. ანიკინა — 1.16,7; ვ. მახროვა — 1.18,2; ე. ღიბრაძე — 1.19,3 (46), თბილისი, „სპარტაკი“; რ. გოჩიტაშვილი — 1.21,8 (51), თბილისი, „დინამო“; ვ. ვოლკოვა — 1.24,7 (52), გაგრა, გან. განყ.; ტ. არუშინა — 1.25,6 (54); თბილისი, გან. განყ; ლ. ოსიპოვა — 1.26,0; ნ. დავთიანი — 1.26,7 (54), თბილისი, „განთიადი“; მ. ქაჯაია — 1.27,2 (53), თბილისი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 1.24,4, 1967 წ. — 1.22,0.

**ბატერფლაით ცურვა 200 მ** — ნ. ჟიგალიოვა — 2.53,5; ე. ღიბრაძე — 3.02,3; რ. გოჩიტაშვილი — 3.06,0; ვ. მახროვა — 3.09,3; ნ. დავთიანი — 3.15,6; ი. ჩუგუევსკაია — 3.15,7; თ. სტრუნინა — 3.21,7 (54), თბილისი, გან. განყ.; ვ. ანიკინა — 3.21,8; ს. ღიბრაძე — 3.23,6 (52), თბილისი, „დინამო“; ა. კონდაკოვა — 3.38,6 (48), ბათუმი, „განთიადი“.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 3.30,0, 1967 წ. — 3.14,8.

**კომპლექსური ცურვა 200 მ** — ნ. ჟიგალიოვა — 2.50,8; მ. ღიბრაძე — 2.51,5; ვ. ანიკინა — 2.52,5; ი. ჩუგუევსკაია — 2.54,5; ზ. ლიუბჩენკო — 2.56,7; ნ. კაბანოვა — 2.58,6; ი. ეფიმოვა — 3.00,5; ტ. შელესტი — 3.00,6; ს. შაგოვა — 3.01,0; ვ. მახროვა — 3.06,2.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 3.04,8, 1967 წ. — 2.57,3.

**კომპლექსური ცურვა 400 მ** — ი. ჩუგუევსკაია — 6.11,3; მ. ღიბრაძე — 6.13,7; ს. შაგოვა — 6.13,8; ი. ეფიმოვა — 6.29,6; ნ. ჟიგალიოვა — 6.32,9; ვ. ბახი — 6.40,9; ვ. ანიკინა — 6.50,1; თ. ისტრებინსკაია — 7.14,6; ნ. დავთიანი — 7.14,6; ტ. ბაზელკო — 7.35,5 (48), ბათუმი, „განთიადი“.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 6.53,7, 1967 წ. — 6.43,7.

(დასასრული იქნება).



თ. ლეკვეიშვილი.

# რკინიგზელთა საკავშირო...

ლენინგრადში გაიმართა რკინიგზელ მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო პირველობა. ტურნირში მონაწილეობდა ამიერკავკასიის „ლოკომოტივის“ გუნდიც, რომელიც მთლიანად თბილისელი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. მათგან ბევრმა წარმატებაც მოიპოვა. მაგალითად, 100 მეტრზე რბენაში პირველობა მოიგო ა. ანდრეევმა — 10,4; ესტაფეტაში 4×500 მ თავი ისახელა თბილისელთა კვარტეტმა (ი. ზეინან-ოღლი, გ. სტარიჩკოვი, ა. ანდრეევი, ტ. ბახტაძე) — 4.27,4, ბახტაძემ საპრიზო ადგილი მოიპოვა 400 მეტრზეც — 49,8. მას მხოლოდ ე. კონიკოვმა (ყაზახეთის რკინიგზა) აჯობა. 1.500 მეტრზე III იყო სტარიჩკოვი — 3.58,2.

100 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის საინტერესო ბრძოლა გააჩაღეს ქალებმაც. განსაკუთრებით დაძაბული იყო ვოლგოგრადელ გ. კუზნეცოვასა და თბილისელ ვ. ქუთათელაძის შეჯიბრება. თავიდან კუზნეცოვა დაწინაურდა. ქუთათელაძე შუა დისტანციაზე წამოეწია მას, მაგრამ შემდეგ ისევ დათმო უპირატესობა და II ადგილს დასჯერდა — 12,0.

## სპორტული ამბები

- „ქარვის ციგურები" — მეორედ
- პირველი ხუთასკილოგრამიანი
- გუნდურში არმიელები, პირადში — ვ. ჟდანოვიჩი
- ლენინგრადელებმა იმარჯვეს
- მასპინძლებმა დაჯაბნეს სტუმრები

● რიგა, 12 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონმა ფიგურულ სრიალში მოსკოველმა გ. გრეიბოვსკაიამ მეორედ მოიპოვა „ქარვის ციგურების" პრიზი. აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მან 1297,3 ქულა დააგროვა. II ადგილზეა მოსკოველი ე. კოტოვა — 1242,8. მასთან უმნიშვნელო სხვაობით წააგო ნორჩმა ჩეხოსლოვაკიელმა მოციგურავემ ჰ. სედლაჩკოვამ, რომელიც მხოლოდ მეორედ გამოდის უცხოეთის ხარბიელზე. სავალდებულო პროგრამის შემდეგ იგი V ადგილზე გახლდათ. სახელგანთქმული კ. დივინის მოწაფე საუკეთესო იყო ნებისმიერ სრიალში და საბოლოოდ III ადგილზე გავიდა. ყინულზე ცეკვაში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა დ. ნოვოტნამ და ი. გოლანმა — 175,2 ქულა. ვაჟებში სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობს უნივერსიადის ჩემპიონი, ლენინგრადელი ვ. კურენბინი.

● ლენინგრადი, 12 მარტი. აქ დამთავრდა მოფარიკავეთა შეჯიბრება ლენინგრადის თასზე. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს არმიელებმა, პირად ჩათვლაში ტოლი არ ჰყავდა ვ. ჟდანოვიჩს. ასპარეზობაში 100-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

● *ძიროვი, 12 მარტი. მოციგურავეთა 30-ე საიუბილეო შეჯიბრება ს. მ. კიროვის ხსოვნის პრიზზე, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებს გარდა გდრ-ის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა: ქალთა მრავალჭიდი მოიგო ი. ეგოროვამ — 200,166, ვაჟებში პირველი იყო ვ. კაპლანი — 180,966. ცალკეულ დისტანციებზე გაიმარჯვეს: ქალებში — 500 და 1500 მ — [illegible] (41,9 და 2.31,9), 1000 მ — რ. შლიაიერმახერმა — 1.37,7, 3000 მ — ა. შმიდტმა (ორივე — გდრ) — 5.26,2; ვაჟებში — 500, 1500 და 5000 მ — კაპლანმა (41,9, 2.13,7 და 8.00,5), 3000 მ — ა. ჩეკულაევმა — 4.36,8.*

● ველსკი, 12 მარტი. პირველი პოლონელი ძალოსანი, რომელმაც 500 კილოგრამი დასძლია, გახლავთ რ. ვოიციკი (მძიმე წონა). იგი 122 კილოგრამს იწონის. ვოიციკმა დაამყარა კიდევ ორი რეკორდი: ატაცში — 143,5 კგ, აკვრაში — 195,5 კგ.

● ლენინგრადი, 12 მარტი. აქ დამთავრდა საკავშირო გუნდური ჩემპიონატი სათხილამურო ორჭიდში. 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ დაწინაურდა მასპინძელთა გუნდის წევრი ე. ლოგინოვი, რომელსაც 257 ქულა ჰქონდა. 15 კილომეტრზე რბენა ა. პესტოვმა (კიროვი) მოიგო — 56.30,0, მაგრამ ორჭიდის ჯამში პირველობა მაინც ლოგინოვს დარჩა — 476,15 ქულა. გუნდური გამარჯვებაც ლენინგრადელებმა მოიპოვეს.

● ბერლინი, 12 მარტი. გდრ-ის რადიოსა და ტელევიზიის თასზე გამართულ შეჯიბრებაში 15 წლის მოცურავე ს. შტეინბახმა კონტინენტის ახალი რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.31,1. ეს 0,9 წამით სჯობს მისსავე მარშანდელ მიღწევას.

## სპორტული ამბები

# მეოთხე ტრადიციული

ბელგრადი, 12 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ქალთა ტრადიციული IV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც 8 მარტისადმია მიძღვნილი. აი, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი:

1. ტ. შტადლერი, 2. მ. ლილიაკი (ორივე — იუგოსლავია), 3. ნ. გაფრინდაშვილი (სსრ კავშირი), 4. ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), 5. კ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია), 6. ქ. გოლუი-რაძიკოვსკა (პოლონეთი), 7. ი. იოვიჩ-ვიეკოვიჩი, 8. ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა, 9. მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი, 10. რ. იოვანოვიჩი (ყველა — იუგოსლავია), 11. ე. ბილეკი (უნგრეთი), 12. ვ. ასენოვა (ბულგარეთი), 13. ა. კუშნირი (სსრ კავშირი), 14. ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია).

I ტურში ნ. გაფრინდაშვილმა ბულგარეთის ჩემპიონ ვ. ასენოვასთან ბრძოლა პოზიციურ სტილში წარმართა. მცირე უპირატესობის მოპოვების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა თამაში ენდშპილში გადაიყვანა და გაიმარჯვა 44-ე სვლაზე.

ა. კუშნირმა იუგოსლავიის ახალგაზრდა ჩემპიონ მ. ლილიაკს მძიმე ბრძოლა მოუწყო. მან თავი ვერ გაართვა წამოჭრილ პრობლემებს და დამარცხდა.

ფ. ჰეემსკერკმა მოუგო ტ. შტადლერს, ა. ნიკოლაუმ — ე. ბილეკს, გ. ლაზარევიჩმა — ქ. გოლუის და ი. იოვიჩ-ვიეკოვიჩმა — ჰ. კონარკოვსკას. ყაიმით დამთავრდა დების — კატერინა და რუჟენა იოვანოვიჩების შეხვედრა.

II ტურში ყურადღების ცენტრში იყო ა. კუშნირ — ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა. მეტოქეებმა ინდური დაცვა გაითამაშეს. კუშნირმა უკეთესი პოზიცია მიიღო. პაიკის შეწირვით მან მძლავრი იერიში წამოიწყო. მსოფლიო ჩემპიონმა ხარისხის დათმობით ნაწილობრივ გაანელა მუქარები, ხოლო პაიკების მოგებით პოზიცია მთლიანად გაათანაბრა. 33-ე სვლაზე ნ. გაფრინდაშვილმა ყაიმი შესთავაზა მეტოქეს. კუშნირმა ჯერ არ მიიღო წინადადება, ხოლო ერთი სვლის შემდეგ დაზავებაზე ლაპარაკი თვითონვე დაიწყო.

ჰ. კონარკოვსკამ მოუგო ფ. ჰეემსკერკს, მ. ლილიაკმა — ტ. შტადლერს, რ. იოვანოვიჩმა — ქ. გოლუის, მ. ლაზარევიჩმა — ი. იოვიჩ-ვიეკოვიჩს. ყაიმზე შეთანხმდნენ ვ. ასენოვა — ა. ნიკოლაუ და ე. ბილეკ — კ. იოვანოვიჩი.

III ტურში მსოფლიო ჩემპიონი შეხვდა ტ. შტადლერს, რომელმაც სტარტი წარუმატებლად აიღო. მან გაფრინდაშვილთანაც უარესი პოზიცია მიიღო. ქართველმა ოსტატმა მეთოდური თამაშით პარტია მოგებამდე მიიყვანა.

მ. ლაზარევიჩმა დაამარცხა ჰ. კონარკოვსკა, მ. ლილიაკმა — ფ. ჰეემსკერკი. ყაიმით დასრულდა ა. ნიკოლაუ — ა. კუშნირის, კ. იოვანოვიჩ — ვ. ასენოვასა და ი. იოვიჩ-ვიეკოვიჩ — რ. იოვანოვიჩის შეხვედრა. ქ. გოლუი — ე. ბილეკის პარტია გადაიდო.

3 ტურის შემდეგ მ. ლაზარევიჩსა და მ. ლილიაკს 3-3 ქულა აქვთ, ნ. გაფრინდაშვილს — 2,5, ა. ნიკოლაუსა და რ. იოვანოვიჩს — 2-2.

## პირველობა მთავრდება

დასასრულს უახლოვდება თბილისის ქალთა I პირველობა რუსულ შაშში, რომელშიც 14 მოშაშე მონაწილეობს. 9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ი. მემარნიშვილი — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლ. ბარამაშვილი — 6 (2), ე. შვედოვა — 6 (1), ე. ბეროზაშვილი და ს. პახლევანიანი — 5-5 (2).

სათამაშო დარჩა 4 ტური.

ს. პახლაჯიანი,
პირველობის მთავარი მსაჯი,
სპორტის ოსტატი.

### წერილი რედაქციას

## გვექნება დაფები?

ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩმა ასუჭრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ამას წინათ თბილისში ჩატარდა, დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენში. ახლა ბევრს სურს ისწავლოს ეს საინტერესო თამაში, მაგრამ მაღაზიებში არ აღმოჩნდა ასუჭრიანი დაფები.

რას გვეტყვიან ვაჭრობის ორგანიზაციების ხელმძღვანელები, გვექნება დაფები?

შაშის მოყვარულები გ. სამხარაძე, ბ. ნიშნიანიძე, ს. ცაგარელი, ვ. ქეზაძე.




მარცხნივ — მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი ტანმოვარჯიშეა, მარჯვნივ, შედარებით ნაკლებად ცნობილი მძლეოსანი, შუაში კი მეხიკოს ოლიმპიური თამაშების პლაკატი. ტანმოვარჯიშე ალბათ იცანით — ვერა ჩასლავსკა გახლავთ. მძლეოსანიც ჩასლავსკას თანამემამულეა, იოზეფ ოდლოჟილი. ისინი რეკლამას უკეთებენ მომავალი ოლიმპიადის პლაკატს. მაგრამ ამ რეკლამის „უკან" იმალება ერთი საიდუმლო, რომელსაც მკითხველს მხოლოდ საიდუმლოდ გავანდობთ: მეხიკოში ვერა და იოზეფი ჩავლენ, როგორც ცოლ-ქმარი.

ფოტო „სპორტოვეცისა" (პოლონეთი).

# ორხელისუფლებიანობა გრძელდება

### სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

თბილისი. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი. 12 მარტი.

**„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:1 (0:0, 0:0, 0:1, 1:0).**

გოლების ავტორები: „დინამო": ისელიძე, „ტორპედო": ხოტი.

ტორპედოელები მართო ჩვენი გუნდის წევრებზე სწრაფად როდი ცურავენ, შეიძლება ითქვას, ამ მხრივ მათ მხოლოდ მოსკოვის დინამოელები არ უდებენ ტოლს. სტუმრები სწორედ ამ უპირატესობით ცდილობდნენ მასპინძელთა დამარცხებას, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. მიზეზი გახლდათ ჩვენი მეკარე გულედანი, რომელმაც მრავალჯერ ოსტატურად მოიგერია მასთან პირისპირ გასული ტორპედოელების ნატყორცნი ბურთი. მაგრამ III პერიოდში მოსკოველებმა კიდევ უფრო გაზარდეს ცურვის სისწრაფე. ერთ-ერთი იერიშის დროს კაპეიკინმა თბილისელი ოჩიგავა ცრუ მოძრაობით ჩამოიტოვა, უმალ გადასცა ბურთი ხოტს და ამ უკანასკნელმა ლამაზი გოლი გაიტანა. მალე თითქმის ასეთივე შესაძლებლობა მიეცა თბილისელ მეველს, მაგრამ მისი ნატყორცნი ბურთი მიზანს ასცდა. ბოლოს ჩვენი გუნდი მარცხისგან იხსნა 4-მეტრიანმა საჯარიმომ, რომელიც კარგად განახორციელა ისელიძემ.

**„სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 1:2 (0:0, 0:2, 1:0, 0:0).**

„სპარტაკი": კოტელნიკოვი (1); „ბალტიკა": სოკოლოვი (2).

6 ტურის შემდეგ „ბალტიკაც" და მოსკოვის „დინამოც" 9-9 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში იდგნენ. „ორხელისუფლებიანობა" VII ტურის შემდეგაც გრძელდება.

ვოლგისპირელები თავიანთ შეხვედრებს მეტად მოკრძალებული შედეგებით ამთავრებენ და არავის ეგონა, რომ ისინი ასე გაუმკლავდებოდნენ „ბალტიკას". მაგრამ ლენინგრადელებმა მაინც იმარჯვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი მეკარე ბ. ერიომინი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

**სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — კასპიის ფლოტილია (ბაქო) 4:2 (2:0, 0:0, 1:0, 1:2).**

საწყლოსნო სპორტკლუბი: ვ. აკიმოვი (1), ა. აკიმოვი (2), შიდლოვსკი (1); კასპიის ფლოტილია: ბორტკევიჩი (2).

ამ შეხვედრამ უცნაური შთაბეჭდილება დატოვა. ბაქოელები ძალიან ინერტულად თამაშობდნენ და არც მოსკოველები იბრძოდნენ მთელი ძალით. ერთი სიტყვით, ჩანდა, რომ თანაკლუბელები ამ მატჩს საშინაო—საკლუბო საქმედ თვლიდნენ.

**„დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) 0:4 (0:1, 0:1, 0:1, 0:1).**

მოსკოვი: ბარანოვი (1), კარტაშოვი (2), გრიშინი (1).

მოსკოვის დინამოელებმა ეს მატჩიც შესანიშნავად ჩაატარეს. ყველა პერიოდში თითო უპასუხო გოლი გაიტანეს და დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვეს. სხვათა შორის, 4-მეტრიანი საჯარიმოდან მხოლოდ ერთი ბურთი გავიდა. ერთ-ერთ მაყურებელს წამოსცდა: „ხედავთ, გოლი კვლავ თამაშიდან გაიტანეს!" ეს სიტყვები შემთხვევითი არ უნდა იყოს. წლევანდელ ტურნირში გოლების თითქმის 75 პროცენტი მართლაც მხოლოდ საჯარიმოებიდან გადის, მაყურებელს კი სურს, რომ ხანახაობრივად საინტერესო ბრძოლის მოწმე იყოს.

**„დინამო" (ლვოვი) — მოსკოვის უნივერსიტეტი 4:5 (0:0, 1:1, 2:2, 1:2).**

„დინამო": უმუდსკი (2), სტიოპინი (2); უნივერსიტეტი: კუზნეცოვი (1), დრევალი (3), ხკერიხი (1).

გოლების სიუხვით ეს მატჩი სარეკორდო გახლდათ. პირველ სამ პერიოდში გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა. მეოთხე პერიოდში სტუდენტებმა ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს და დაწინაურდნენ — 5:3, მაგრამ „ფარდის დახურვის წინ" დინამოელებმა ერთი გოლის გაქვითვა მაინც შეძლეს.

ჯ. ენუქიძე.

## პასუხი...

● ჩვენს რედაქციაში კვლავინდებურად შემოდის ფეხბურთის მოყვარულთა წერილები, სადაც დაინტერესებულნი გვთხოვენ განვუმარტოთ თამაშის წესების ზოგიერთი პუნქტი. ავუხსნათ სადავო საკითხები.

რედაქციამ გადაწყვიტა კომენტარებისთვის ტრიბუნა დაუთმოს ჩვენს ცნობილ მსაჯებს. პირველ სიტყვას ვაძლევთ საკავშირო კატეგორიის მსაჯს გ. ბაქანიძეს.

გეგეჭკორის რაიონის სოფ. ქურზუს მცხოვრებს შ. ბერულავას აინტერესებს ასეთი საკითხები:

1. მაგალითად, 11-მეტრიანი საჯარიმო შეასრულა მეკარემ. მოწინააღმდეგე მეკარემ შეძლო ბურთის აღება და სანამ პენალტის შემსრულებელი თავის ადგილზე დაბრუნდებოდა, ძლიერად დაარტყა. ბურთი გავიდა მეტოქის კარში. როგორ მოიქცევა მსაჯი?

პასუხი: ჩათვლის კანონიერ გოლს.

2. მსაჯმა არასპორტული საქციელისთვის მინდვრიდან გააძევა მეკარე. მის ნაცვლად კარში დადგა სხვა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მეორე მეკარე დაშავდა. როგორ მოიქცევა გუნდი?

პასუხი: თუ მსაჯმა მინდვრიდან გააძევა მეკარე, გუნდმა უნდა შეცვალოს მინდვრის რომელიმე მოთამაშე მეკარით და დააყენოს იგი კარში, ე. ი. გუნდი მაინც 10 კაცის შემადგენლობით რჩება. თუ დაშავდა მეორე მეკარე, მის ნაცვლად კარში უნდა დადგეს მინდვრის მოთამაშე.

* * *

სოფ. სალხინოს (გეგეჭკორის რაიონი) საშუალო სკოლის მოსწავლე ზ. სხულუხია გვეკითხება:

1. დაინიშნა პენალტი. მსაჯმა მისცა ნიშანი. გამორბის პენალტის შემსრულებელი, მაგრამ უცებ გვერდზე გადახტა და ბურთს მისმა პარტნიორმა დაარტყა. იქნება გოლი თუ არა?

პასუხი: არა. დარტყმის მომენტში არ შეიძლება 2 ფეხბურთელი იმყოფებოდეს საჯარიმო მოედანზე. მსაჯი დანიშნავს თავისუფალ დარტყმას დამნაშავე გუნდის მხარეს.

# პატივს სცემენ მეგობართა ხსოვნას

10 წლის წინ, 1958 წლის 6 თებერვალს, მიუნხენის ახლოს მოხდა საავიაციო კატასტროფა. თითქმის ყველა მგზავრი დაიღუპა და ამ საშინელმა ამბავმა გაცილებით უფრო დიდი რეზონანსი ჰპოვა მთელ მსოფლიოში, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ეს გასაგებიცაა: თვითმფრინავში იმყოფებოდნენ განთქმული ფეხბურთელები, რომლებსაც კარგად იცნობდნენ სპორტის მოყვარულები მთელ მსოფლიოში. ავიაკატასტროფის დროს დაიღუპა „მანჩესტერ იუნაიტედი", ბრიტანეთის საუკეთესო საფეხბურთო კოლექტივი, რომელიც იმ ხანებში ევროპის ჩემპიონთა თასზე თამაშობდა. ჩვენ, იტალიელები, განსაკუთრებით თანავუგრძნობდით ინგლისელებს,ვინაიდან ამ შემთხვევამდე 10 წლით ადრე ასევე დაიღუპა ჩვენი საუკეთესო გუნდი — „ტურინი".

სახელგანთქმულ მანჩესტერელთაგან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 3 ახალგაზრდა ფეხბურთელი და გუნდის ხელმძღვანელი, რომელიც „მანჩესტერ-იუნაიტედს" სათავეში ედგა ომის დამთავრებიდანვე. ესენი იყვნენ: მეკარე გრეგი, ნახევარმცველი ფულკესი, თავდამსხმელი ბ. ჩარლტონი და მწვრთნელი მ. ბასბი. ისინი ამჟამადაც მონაწილეობენ კლუბის საქმიანობაში როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით, მათი მოღვაწეობა კატასტროფის დღიდან მოყოლებული ეძღვნება დაღუპულ მეგობართა ხსოვნას და წარმოადგენს ადამიანის გამარჯვებისადმი სწრაფვის, ყველა წინააღმდეგობის დაძლევის უმაღლეს სიმბოლოს.

ჩვენ მანჩესტერში გავემგზავრეთ კატასტროფის მეორე დღესვე. იმ ხანებში ეს იყო ყველაზე ნაღვლიანი და დამწუხრებული ადგილი მთელ ინგლისში. ქალაქის მოსახლეობა აუწერელ კაეშანს მოეცვა. როცა პირველივე შემხვედრს კითხვით მივმართეთ კატასტროფის შესახებ, მან თვალები დახუჭა, დიდხანს იყო ჩუმად და შემდეგ ქვითინით წამოიძახა: „ეს იყო მსოფლიოს საუკეთესო გუნდი, მსოფლიოს საუკეთესო გუნდი".

მალე გაიმართა „მანჩესტერ იუნაიტედის" პირველი მატჩი კატასტროფის შემდეგ. სტადიონის ტრიბუნებზე თავი მოიყარა 60 ათასმა კაცმა და წარმოუდგენელი სიჩუმე იდგა. როცა გვირაბიდან გამოჩნდა გუნდი და მის თავში მყოფი ფულკესი, სტადიონს ელმოხდა ოხვრა, რომლის მაგვარი არა მსმენია. ბევრნი ზურგით იდგნენ მინდვრისკენ, ვერ უყურებდნენ თამაშს და მეზობლებს ეკითხებოდნენ: „როგორ თამაშობენ ბიჭები?" იმ დღეს „მანჩესტერის" მოწინააღმდეგე იყო „შეფილდ-უენსდეი". ამ გუნდის მოთამაშეები უმძიმეს მორალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ წინააღმდეგ გამოდიოდნენ „მანჩესტერის" ცოცხლად დარჩენილი 3 მოთამაშე, აგრეთვე, თადარიგისა და ახალგაზრდული შემადგენლობის წევრები. ისინი უდიდესი აღმაფრენით თამაშობდნენ და გამარჯვებაც მოიპოვეს. გაზეთმა „გარდიანმა" მეორე დღეს დაწერა: „ფენიქსმა განაახლა თავისი ფრენა". მანჩესტერი დაუბრუნდა თავის ნორმალურ ცხოვრებას.

სულ ახლახან ინგლისის ტელეგადაცემამ მოაწყო საღამო, რომელსაც უწოდა „მანჩესტერის ყვავილები". ეკრანთან გამოვიდნენ გრეგი და ბ. ჩარლტონი, რომლებიც ტელემაყურებლებს ესაუბრნენ თავიანთი ცხოვრების ყველაზე უფრო დრამატულ მომენტზე.

**გრეგი**: როცა მივხვდი, რომ კატასტროფა მოხდა და მიწისკენ ვეცემით, მახსოვს, გავიფიქრე, რომ სიკვდილის პირას ვიმყოფები, რომ ვეღარ ვიხილავ ჩემს სახლს, მშობლებს, მეგობრებს, რომ ვიღუპები გერმანულ მიწაზე და არც ვიცი გერმანული ენა".

ერთ-ერთი გადარჩენილთაგანი, ფოტორეპორტიორი **პ. ჰოვარდი** იხსენებს: „როცა გრეგი გამოფორთხდა ნამსხვრევებიდან, დაგლეჯილი და დასისხლიანებული, იგი შეჩერდა, აწია მაღლა ხელები და ხმამაღლა დაიძახა: ბიჭებო, გამოდით, სად ხართ?!"

**ბ. ჩარლტონი**: „მაშინ ჩვენ არანაკლებად შეხმატკბილებული გუნდი ვიყავით. ყველანი ერთი სულისკვეთებით ვცხოვრობდით".

ეს ტრაგიკული დღეები ისტორიას ჩაბარდა. მოხუცმა მ. ბასბიმ, ბრიტანული ფეხბურთის ბრძენმა კაცმა, შექმნა ახალი გუნდი, რომელმაც შარშან გრეგის, ფულკესისა და ჩარლტონის ხელშეწყობით მოიგო ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერ იუნაიტედი" დღესაც ინგლისის ჩემპიონატის ლიდერია. იგი დღესაც გამარჯვებათა გზით დადის და ამით უდიდეს პატივს სცემს ტრაგედიის 10 წლისთავს, დაღუპულთა ხსოვნას.

**ფულვიო გრიმალდი,**
იტალიური გაზეთი „პაეზე სერა".

Спортен спорт | Sport | SPORTSKE NOVOSTI | Népsport | PRZEGLĄD SPORTOWY



# პელეს 878 გოლი

## ... და ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული

სან-პაულუ. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბმა „სანტოსმა" კვლავ დაიბრუნა შტატის ჩემპიონის სახელი, რომელიც მან 1966 წელს „პალმეირასს" დაუთმო.

არგენტინელი რამოს-დელგადოს, კარლოს ალბერტოს და რილდოს წყალობით „სანტოსმა" შექმნა ძლიერი, სტაბილური დაცვა. გუნდის ახალგაზრდა წევრებმა კლოდოალდომ, ედუმ, ტონინიომ და დუგლასმა თავდასხმაში ახალი ცეცხლი შეიტანეს, მაგრამ მაინც „სანტოსის" აღორძინება ყველაზე მეტად დაკავშირებულია პელეს წარმატებებთან, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატში მიღებული ტრავმისა და მორალური გულგატეხილობის შემდეგ, მხოლოდ 1967 წელს დაიბრუნა ფორმა.

ჩვენ გამოვიანგარიშეთ, რომ 1967 წლის განმავლობაში პელეს 53 გოლი გაუტანია (ამხანაგური მატჩების ჩათვლით). ეს შედეგი ძალიან შორს დგას მისი წინა წლების მიღწევებისგან (1959 წელს — 125, 1961 წელს — 107 და 1965 წელს — 106 გოლი).

ყველაზე მეტად გაგვაოცა 1956 წლიდან დღემდე გატანილი ბურთების ბალანსმა. 1956 წლიდან (ესე იგი, იმ დროიდან, როცა პელემ პროფესიონალებში თამაში დაიწყო) შარშანდლამდე პელეს 878 გოლი გაუტანია. ამავე დროს, 1957 წლიდან 1965 წლამდე პელე შტატის საუკეთესო ბომბარდირი იყო. ფეხბურთის ყველაზე დიდ ვირტუოზებსაც არ მიუღწევიათ ასეთი შედეგისთვის (თვით დი სტეფანოსაც კი).

ახლა, როცა ყველამ ვიცით, რომ პელე თავის ძველებურ ამპლუაშია, ვიცით, რომ იგი იყო სანტ-იაგოში ჩატარებული 8 ქვეყნის ჩემპიონატის სული და გული, როცა პელემ დაიბრუნა თავისი ტექნიკა, გახდა ერთნაირად სათაყვანებელი როგორც თანაგუნდელების, ისე მეტოქეებისთვის, როცა ვხედავთ, რომ მის თამაშში ნათლად სჭვივის განზრახვა: ითამაშოს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატშიც, შეგვიძლია მხოლოდ ერთი ვიკითხოთ: სადამდე აიყვანს პელე თავის უზარმაზარ რეკორდს?

**თომას მაზონი,**
ფრანგული ჟურნალი „მირუარ დიუ ფუტბოლ".

• • •

სურათზე: „სანტოსისა" და „პალმეირასის" გუნდების შეხვედრა. პელეს გააქვს მორიგი გოლი.

# გრენობლის ფათერაკები

ფათერაკი ყოველდღიურ ცხოვრებაში უსიამოვნო განცდებთანაა დაკავშირებული. იგი დადებით ემოციებს არც სპორტში იწვევს, მაგრამ ხშირად სიტუაციის ან მომენტის კურიოზულობის გამო მხიარული ღიმილის მომგვრელიცაა.

კურიოზები, რომლებსაც თქვენ ამ სურათებზე ხედავთ, გრენობლში, ზამთრის ოლიმპიადაზე მოხდა. ვინ იცის რამდენ სპორტსმენს გაუფუჭა გუნება უნებლიე შემთხვევამ. ზოგიერთებისთვის იგი შესაძლოა საბედისწეროც გამხდარიყო, რომ რაღაც სასწაული არა.

დახედეთ ზედა სურათს. ვინ იფიქრებდა, რომ საფრანგეთის ბობსლეისტთა დუეტი, ყველაზე საჭირო და პასუხსაგებ მომენტში „თამაშგარე" მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. კარგია, რომ ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა... ბობსლეიში ხშირია უფრო ტრაგიკული ფინიშიც.

ამბობენ, ძმა ძმისთვისაო... თუმცა ამ შემთხვევაში უფრო გამოდგებოდა და ძმისთვისო. ამერიკელი ფიგურისტები კაუფმანები (სურათი შუაში) მართლაც შავ დღეში არიან. ფათერაკი მოუვიდა ძმას, რომელიც საკმაოდ მარტივი ილეთის შესრულებისას დაეცა. ამაოდ ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას, მსაჯებს განა გამოეპარებათ ასეთი რამ?

ჩეხოსლოვაკიელ მოთხილამურეს ანა მოჰროვას მსაჯების ჯავრი არ ქონდა. იგი არც მაღალ ადგილზე ოცნებობდა და რომ იტყვიან, თავისთვის, მშვიდად ასპარეზობდა. მაგრამ ჩუმი და თავმდაბალი გოგონა გიგანტური სლალომის ტრასაზე უეცრად განრისხდა და „მძვინვარების ჟამს კინაღამ ფრანგი მსაჯი „იმსხვერპლა" (სურათი ქვევით). ამბობენ, ამ შემთხვევამ ჩეხოსლოვაკიელი მოთხილამურე და ფრანგი მსაჯი დაამეგობრაო.



Nr 43 (778) 26 PAŹDZIERNIKA 1965 CENA 2,50 ZŁ
SPORTOWIEC





რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.


ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)



დღეს
წყალბურთი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
შეხვედრათა კალენდარი

17 ს. „ტორპედო" (მოსკოვი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი)

18 ს. „დინამო" (კიევი) — მოსკოვის უნივერსიტეტი.

19 ს. „დინამო" (ლვოვი) — კასპიის ფლოტილია (ბაქო)

20 ს. „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — „დინამო" (თბილისი)

21 ს. „ბალტიკა" (ლენინგრადი) — „დინამო" (მოსკოვი)


ИНДЕКС 68448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 03173